



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბელნაწერის უფლებით

ნიმუშობრივი

**სოციალური ჯგუფები
შუა საუკუნეების საქართველოში**
(გამოკვლევა ნაფიცი თანამოძმეობის შესახებ სვანური
მოსახსენებლის საფუძველზე)

სპეციალობა – 07.00.01 – საქართველოს ისტორია
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეზიუმე

თბილისი 2001

დისერტაცია შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ისტორიის მეცნ. დოქტორი,
პროფ. მარიამ ლორთქიფანიძე

ოფიციალური ოპონენტები:

1. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. დავით მუსხელიშვილი
2. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოც. სოსო კვიციანი

დისერტაციის დაცვა შედგება 2001 წლის „24 სექტემბერი“
საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს (H 07.01 №1) სხდომაზე.
მისამართი: 380028, თბილისი, ილ. ჭავჭავაძის პრ. 1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორფურატი დაიგზავნა 2001 წლის 31.07.01

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფ.

ნათელა ვახინაძე

/ნ. ვახინაძე/



STAATLICHE IWANE DSHAWACHISCHWILI-UNIVERSITÄT TIFLIS

Mit Manuskriptrecht

NINO OKINASCHWILI

**SOZIALE GRUPPEN IN DER MITTELALTERLICHEN
GEORGISCHEN GESELLSCHAFT**

**(Untersuchungen zur Schwureinung anhand svanischer
Gedenkaufzeichnungen)**

Fachbereich - 07.00.01 - Georgische Geschichte

AUTOREFERAT

*einer Inauguraldissertation zur Erlangung des Grades eines
Kandidaten der Geschichtswissenschaften*

Tiflis 2001

3 (9 7 9 . 2 2 . 2 3)
Die Arbeit wurde am Lehrstuhl für georgische Geschichte der staatlichen Iwane Dshawachischwili Universität Tiflis erstellt.

Wissenschaftliche Betreuerin: 1. Doktor der Geschichtswissenschaften,
Prof. **Mariam Lortkipanidse**

Offizielle Opponenten: 1. Doktor der Geschichtswissenschaften,
Prof. **David Musxelischwili**
2. Kandidat der Geschichtswissenschaften,
Doz. **Soso Kviziani**

Die Verteidigung findet am 24. September um _____ Uhr 2001 vor der
Versammlung des Dissertationsrates H 07.01 Nr. 1 an der staatlichen Iwane
Dshawachischwili Universität in Tiflis statt.

Adresse: 380028, Tiflis, Dshawdschawadse Prospekt 1; Sitzungssaal

Mit der Doktorarbeit kann man sich im Lesesaal der wissenschaftlichen
Bibliothek an der staatlichen Iwane Dshawachischwili Universität in Tiflis
vertraut machen.

Adresse: 380047, Tiflis, Universitätstr. 2.

Das Autoreferat wurde versendet _____ 2001.

Der wissenschaftliche Sekretär
des Dissertationsrates,
Doktor der Geschichtswissenschaften,
Professor

/N. Watschnadse/

N. Watschnadse



თემის აქტუალობა — კვლევა ადამიანთა და ადამიანთა ჯგუფების თანარსებობის შესახებ (სოციალური ისტორიის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ევროპულ, კერძოდ კი გერმანულ შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიაში დიდი ყურადღება ეთმობა სოციალური ჯგუფების კვლევას, რისთვისაც აქტიურად იყენებენ მემორიალური კულტურის ძეგლებს. სოციალური ჯგუფები და მემორიის ფენომენი ამომწურავად არის შესწავლილი მედიევისტთა მიერ ევროპულ წყაროებზე დაყრდნობით. დღეს მათი ინტერესის ცენტრშია შუა საუკუნეების სხვა საზოგადოებების შესწავლა შედარებით მეთოდის გამოყენებით, რათა ნათელი გახდეს მსგავსება და განსხვავება კულტურებს შორის. ბოლო ათი წელია, რაც ამ საკითხებით დაინტერესდნენ რუსი მეცნიერები და გერმანელ მეცნიერებთან ერთად შექმნეს პროექტები. რაც შეეხება ქართულ მეცნიერებას, წინამდებარე ნაშრომი პირველი გამოკვლევა კომპარატიული მეთოდის გამოყენებით ზსოვნის კულტურისა და სოციალური ჯგუფების როლის შესწავლისა შუა საუკუნეების ქართულ საზოგადოებაში. დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიაზე ორიენტირებული ასპექტები, რომლებიც აქ არის გამოყენებული, თავის წვლილს შეიტანს როგორც ქართულ, ასევე დასავლეთ ევროპის ისტორიულ კვლევაში.

69A

კვლევის საგანი, ობიექტი და წყაროთმცოდნეობითი ბაზა — ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება სოციალური ჯგუფების კვლევას შუა საუკუნეების საქართველოში. კვლევის ობიექტია საქართველოს მთის რეგიონი — სვანეთი, კერძოდ კი ზემო სვანეთი და აქ აღმოჩენილი მემორიალური კულტურის ძეგლი — მატანე-მოსახსენებელი, რომელიც სოციალური ისტორიის თვალსაზრისით არის შესწავლილი. ჩვენს მიერ დასმული შეკითხვებისათვის პასუხის გაცემა შესაძლო გახდა მხოლოდ სხვადასხვა წყაროს დახმარებით. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ სვანური დოკუმენტები და ეთნოგრაფიული მასალა სვანური ხალხური წეს-ჩვეულებების შესახებ. ამასთანავე ფართოდ ვიყენებთ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას, რათა შევძლოთ მემორიის ფენომენის განმარტება.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანი და ამოცანები — ჩვენი მიზანია სვანურ მოსახსენებელში დაფიქსირებული სოციალური ჯგუფის რეკონსტრუქცია და გვიანი შუა საუკუნეების სვანეთის სოციალური სინამდვილის გაანალიზება. სვანური დოკუმენტების დახმარებით ჩვენ უნდა აღვადგინოთ მოსახსენებელში დაფიქსირებული ჯგუფის წეს-ჩვეულებები, ნორმები, ადათ-წესები და ვუჩვენოთ სოციალური ქცევების სპეციფიკური ფორმა, რომელიც დამახასიათებელი იყო ამ სოციალურ ჯგუფში გაერთიანებულთათვის. ასევე უნდა განვმარტოთ, თუ რა დანიშნულება ჰქონდა ამ მოსახსენებელს აქ დაფიქსირებული სოციალური ჯგუფისათვის.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე — გაირკვა, რომ მოსახსენებელში, რომელიც წარმოშობილია ზემო სვანეთში XIII-XVI საუკუნეებში და შექმნილია ლიტურგიკული ზსოვნის (საფუძველზე, ჩაწერილები არიან ნაფიცი ერთობის ანუ ნაფიცი თანამომეობის წარმომადგენლები, რომელთა კავშირის

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს
ქ რ თ ვ ე ლ ი
გ ი ბ ლ ი ო ტ ო მ ე კ ა

საფუძველი იყო ფიცი. ყველა თავისი ნიშნის მიხედვით მას აქვს სასოფლო-სამეურნეო კომუნის სახე. სოციალური ჯგუფის ეს ტიპი იქმნება ისეთი ადამიანების სოციალური კავშირების შეთანხმებით, რომლებიც ერთმანეთთან ნათესაურად კი არ არიან დაკავშირებულები, არამედ კონსენსისა და ხელშეკრულების მეშვეობით თანხმდებიან მჭიდრო და ხანგრძლივ ურთიერთობებზე. საქმე ის არის, რომ სვანეთში ჩვენს მიერ დაფიქსირებული ნაფიცი თანამომძეობა თავისი ფორმით ძალზე წააგავს ევროპაში ცნობილ ნაფიც ერთობებს (Conjuratio), კერძოდ კი 1291 წელს შვეიცარიაში წარმოშობილ ნაფიც თანამომძეობას (Eidgenossenschaft). დღემდე ეს ფენომენი მხოლოდ ევროპულ კულტურაში იყო ცნობილი. ჩვენს მიერ წარმოებული კვლევის შედეგად კი მოხდა იმის დაფიქსირება, რომ ეს ფენომენი კავკასიის მთიანეთშიც არსებობდა.

სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგია – ნაშრომი ეყრდნობა თანამედროვე ევროპულ მედიევსტიკაში მიღებული ორი მეთოდის გაერთიანებას: მემორიისა და სოციალური ჯგუფების შესწავლას შუა საუკუნეებში. ამასთან გამოყენებული გვაქვს კომპარატიული კვლევის მეთოდი.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა – ერთის მხრივ, ჩვენს მიერ მიღებული კვლევის შედეგები ახალ პერსპექტივაში წარმოაჩენს საქართველოს შუა საუკუნეების სოციალურ ისტორიას და ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოდის დასავლეთევროპული კვლევის ახალი მიმართულებები, რაც საჭირო იმპულსებს მისცემს მას. მეორე მხრივ, ჩვენი კვლევის შედეგები სიახლეა და მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების კულტურების კომპარატიული სოციალური ისტორიისათვის. დღევანდელ დღემდე თავისუფალი ერთობები (Conjuratio), თავისი გამოვლენის სხვადასხვა ფორმით, ითვლებოდა დასავლეთ ევროპის სპეციფიკური კულტურის გამოვლენად. ამ ნაშრომით კი ამ შეხედულების გადაფასება ხდება. ამასთანავე ეს გამოკვლევა ნათლად გვიჩვენებს, თუ რა უნივერსალური მნიშვნელობა ჰქონდა შუა საუკუნეებში ხელშეკრულებით ურთიერთობებს, რომლითაც ადამიანები ერთმანეთთან კავშირდებოდნენ ღეზორგანიზაციისა და საშიშროების დროს.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები შესაძლოა გამოყენებული იყოს სოციალური ისტორიის შემდგომ კვლევაში, ასევე სასწავლო პროცესში – სასემინარო და სალექციო კურსის დროს, როგორც ევროპულ, ასევე ქართულ შუა საუკუნეების ისტორიაში.

სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია – სადისერტაციო ნაშრომი აპრობირებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე (2.05. 01, ოქმი № 8). კვლევის ძირითადი შედეგები განხილულია თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის სემინარებზე და გერმანიაში გეტინგენის მაქს-პლანკის ისტორიის ინსტიტუტში. მისი ძირითადი ნაწილები გამოქვეყნებულია მაქს-პლანკის ისტორიის ინსტიტუტის შრომებში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის კრებულში.

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა – ნაშრომი მოიცავს 134 გვერდს და შედგება შესავლის, ექვსი თავისა და დასკვნისაგან, მას ერთვის

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა. თანდართული აქვს რუკა.

შესავალი – აქ განხილულია სოციალური ისტორიის შესწავლის მდგომარეობა დასავლეთევროპულ ისტორიოგრაფიაში. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სოციალური ისტორიის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს სოციალური ჯგუფების კვლევა. გაანალიზებულია კვლევის ის მეთოდები, რომლებსაც ფრანგი და გერმანელი მედიევისტები იყენებენ სოციალურ ისტორიაში. ჩვენს დისერტაციაში ყურადღება გამახვილებულია კვლევის გერმანულ მეთოდებზე. ფრანგული სკოლისაგან განსხვავებით, რომლისთვისაც დამახასიათებელია სოციალური სინამდვილის აზრობრივი კონსტრუქციების კვლევა, გერმანელი მედიევისტები დაინტერესებულები არიან ჯგუფთა სოციოლოგიით, რაც დაკავშირებულია მარკ ბლოხის სახელთან. სოციალური ჯგუფების კვლევისათვის წყარომცოდნეობით ბაზად მათ გამოიყენეს მემორიალური კულტურის ძეგლები – მოსახსენებლები და ნეკროლოგები, ასევე მემორიის ფენომენი. აქვე განვიმარტავთ *სოციალურის* ჩვენეულ გაგებას. *სოციალური* ამ ნაშრომში გაგებულია არა ტრადიციული, ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული ფორმით, რომელიც გულისხმობს წოდებებს, ფენებს ან კლასებს, არამედ მაქს ვებერისეული აზრით. ვებერი *სოციალურში* გულისხმობს ისეთ მოქმედებას, „სადაც მოქმედი პირის ან მოქმედი პირების ნავარაუდვეი აზრი თანაფარდია სხვა ადამიანთა მოქმედებასთან და ორიენტირებულია მასზე“. აქვე განვიმარტავთ *სოციალურ ჯგუფს*, რაც გულისხმობს გარკვეულ კულტურას ანუ ნორმათა და ფასეულობათა წარმოდგენების სისტემას, რომელიც იქმნება განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფში გაერთიანებული ინდივიდების სოციალური ქცევებით.

თავი პირველი – მემორია და მისი ფორმები შუა საუკუნეებში. ამ თავში ჩვენს მიერ დეტალურად არის გაანალიზებული მემორიის ცნება, რადგან ის მთავარია ჩვენს კვლევაში. მემორია თანაბრად მოიცავს მესხიერებასაც და გახსენებასაც. გაანალიზებულია ხსოვნის, როგორც წარსულის წარმოდგენის, ორი ფორმა. ერთი, ეს არის წარსულის გახსენება, რომელსაც უწოდებენ ისტორიას და ნიშნავს ისტორიულ ხსოვნას. მეორე ფორმას ოტო გერჰარდ ოქსლე უწოდებს „სოციალურ მემორიას“, რადგან ის დაკავშირებულია პიროვნებებთან. აქ იგულისხმება პიროვნების *გახსენება* ღვთისმსახურების დროს არა ემოციური და კოგნიტიური აზრით, არამედ აფიზიკურად არ მყოფ(პიროვნებათა)მუწყოფნა(იმით შორის, ვინც მათ იხსენიებს. აქვეა გაანალიზებული მემორიის გამოხატვის ფორმები – სახელის ხსენება, შეწირულობა და ქველმოქმედება, ასევე მემორიის სუბსტანცია – ის ხელს უწყობს ჯგუფთა თვითშეგნებას.

თავი მეორე – მემორიალური კულტურის ძეგლები და მათი კვლევის მდგომარეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ლიტურგიკული ხსოვნის, გარდაცვლილთა და ცოცხალთა მემორიის წერილობით წყაროს შუა საუკუნეებში წარმოადგენდა მემორიალური კულტურის ძეგლები, რომლებშიც აღნუსხული იყო ცოცხალ და გარდაცვლილ პიროვნებათა, ინდივიდუუმთა თუ ჯგუფთა სახელები. შუა საუკუნეებში ქართული მემორიალური ჩანაწერებისათვის გამოიყენებოდა ამოსახსენებელი, რომელიც შეესაბამებოდა ბერძნულ $\sigma\pi\alpha\mu\upsilon\mu\alpha$ -ს, რუსულ *pomjnniki*-ს და დასავლეთევროპულ *Liber Memorialis*-ს. სიტყვა ამოსახსენებლის

პარალელურად ქართულში იხმარებოდა ტერმინი ამატიანე. მეორე სახე ქართული მოსახსენებლებისა იყო ადაპი (ბერძნ. *agape* – ძმური ტრაპეზი). ამ თავში მისწავლით მიმოვიხილავთ ზემო სვანეთიდან შემორჩენილ მოსახსენებელ-მატიანეს, რომელიც განახლებული და გადაწერილია XVI საუკუნის ბოლოს, ამ წყაროს გარშემო ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ სხვადასხვა შეხედულებას.

თავი მესამე – წყაროების მიმოხილვა და სამოქმედო გეგმა. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ხელნაწერთა ნუსხები: H2401 და Q267 (კეფები 12-15rv) და ასევე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში დაცული P13 ნუსხის XI(r) კეფი წარმოადგენს ეტრატის გრაგნილებს, რომლებიც ზემო სვანეთიდან შემოგვრჩა. ამ გრაგნილის კეფებზე მოთავსებულია სახელთა ჩანაწერები *ყოველთა სვანეთისა კრებისა*. ეტრატზე, რომელზედაც მოსახსენებელია ჩაწერილი და რომელსაც მწერალი უწოდებს მატიანეს, მოცემულია გრძელი სია მოსახსენებელი გარდაცვლილი ან ჯერ კიდევ ცოცხალი პიროვნებებისა, რომლებმაც ეკლესიისთვის შეწირულობები გაიღეს. მას იყენებდნენ ღვთისმსახურების დროს. ამ მოსახსენებელში შეტანილ სახელებს სასულიერო პირები თავიანთ ლოცვებში რთავდნენ გარკვეულ დღეებში. ამ მატიანის შემთხვევაში საქმე ეხება მემორიალური კულტურის ძეგლს (იხ.: თავი II). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევა მემორიისა და მისი კულტურის ძეგლების შესახებ ჩაისახა დასავლეთევროპულ მეცნიერებაში და დღესდღეობით ამის შესახებ უამრავი გამოკვლევა არსებობს (იხ.: შესავალი). ყველა შემთხვევაში, იქნება ეს დასავლეთევროპული, რუსული თუ ქართული მემორიალური კულტურის ძეგლები ანუ მოსახსენებლები, მათ აქვთ წიგნის ფორმა, რომელშიც შეტანილები არიან სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები. ამ თვალსაზრისით დიდი განსხვავება არ არსებობს აგრეთვე საზღვარგარეთ არსებულ ქართულ მონასტრებში დაცულ *მოსახსენებლებთან*. სვანური მატიანის შემთხვევაში ისეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რომელიც თავისი გარეგანი ფორმით სრულიად განსხვავდება ჩვენს ხელთ არსებული როგორც დასავლეთევროპული, ასევე ქართული, მოსახსენებლებისაგან. სვანური მატიანის შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთმანეთზე გადაკერებულ სხვადასხვა ზომის ეტრატთან, რომელიც გრაგნილს წარმოადგენს. ერთ-ერთი ეტრატის ნუსხა შემორჩა კონდაკზე დახვეული გრაგნილის სახით. მსგავსი *მატიანე*, რომელსაც გრაგნილის ფორმა აქვს, ერთადერთია ქართულ მოსახსენებლებს შორის. ეს მატიანე სხვა არსებული მოსახსენებლებისაგან სტრუქტურითაც განსხვავდება. აქ სოციალურად განსხვავებული პიროვნებების ნაკვეთებად დაყოფა კი არ ხდება (მაგ. მეფეები, დეოფლები, კათოლიკოსები, ერისთავები და სხვა), არამედ მამაკაცები, ქალები, სასულიერო და საერო, ცოცხალი და გარდაცვლილი პირები ერთმანეთის გვერდით არიან ჩაწერილები.

მატიანე შედგება სამი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში მწერალი გადმოგვცემს, რომ მატიანე დაიწერა შემოვედრებულთა და შემომწირველთა სალოცველად; აქვე გვაწვდის ცნობას, რომ მატიანის შექმნა შედგებოდა იყო *ყოველთა სვანეთისა კრებისა*. დაიწერა წმიდაი ესე მატიანე სალოცველად *ყოველთა სვანეთისა*

კრების შემომწირველთა და შემოვედრებულთათვის; მეორე ნაწილი მოიცავს სახელთა გრძელ სიას, სადაც ჩაწერილები არიან პიროვნებები, რომლებიც ლოცვის დროს უნდა მიეხსენიებინათ. ამ ეტრატზე ერთი ხელით აღნიშნულია 2500 ჩანაწერი, რომელიც მოწესრიგებულია ხეებისა და სოფლების მიხედვით. აქ დასახელებულია ის ადგილი, სადაც კრებები ჩატარდა. მოცემულია ხევის ან სოფლის სახელი, რომელსაც მოსდევს მოსახსენებელი პიროვნებების სახელისა და გვარის დასახელება. მწერალი აქ ჩაწერილ პიროვნებათა ჯგუფს უწოდებს ერთობილ კრებულს, რომელთა კავშირის საფუძველი იყო კრება კრებისა, რაზეც ლაპარაკია მესამე ანუ დასკვნით ნაწილში, სადაც აგრეთვე მოცემულია ამ კრებების გაერთიანების რელიგიური დასაბუთება. მწერალი ამ დასკვნით ნაწილში ღმერთთან შუამდგომლობას სთხოვს მარიამ ღვთისმშობელს. მეორე მხრივ კი იგი აქ ჩაწერილ პიროვნებათა ჯგუფს განუმარტავს, რომ უკვე სიცოცხლეში ყოველ ადამიანს უნდა ეზრუნა გარდაცვალების შემდეგ ცხოვრებისათვის. ისინი ღმერთის მიერ გასამართლებული უნდა ყოფილიყვნენ საიქიოში მოხვედრის შემდეგ. იმისათვის, რომ ზეციური ჯილდო დაეშასხურებინათ, მათ სააქაო ცხოვრების დროს შინაგანი მშვიდობა უნდა მიუპოვებინათ ღმერთის მეშვეობით. ღვთიური მშვიდობა კი ნიშნავდა ურთიერთსიყვარულით, ურთიერთსიკეთით და ურთიერთდახმარებით ცხოვრებას.

მწერალი, მოციქული პავლეს სიტყვებით, ზეციური დასაწუქრების დაპირების სანაცვლოდ მატთანეში ჩაწერილ პირებს უქადაგებდა სააქაოში ქრისტიანული ძმობის იდეას — ძმური სიყვარულისა და მშვიდობით ერთობის იდეას. რა აზრი დევს ამ მშვიდობის მოწოდებაში, არის მასში მხოლოდ თეოლოგიური — იმცხოვრებისეული აზრი თუ მას პოლიტიკური — ამცხოვრებისეული მშვიდობის აზრიც ჰქონდა? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელი იქნებოდა, თუკი ვერ მოვანერხებდით, ერთი მხრივ, ამ მოსახსენებელში ჩაწერილი წევრების განსაზღვრული სოციალური ჯგუფისათვის მიკუთვნებას და, მეორე მხრივ, თუ ვერ გავარკვევდით, რა დანიშნულება ჰქონდა ამ მატთანეს აქ დაფიქსირებული ჯგუფისათვის. ამ მატთანის და მასში ჩაწერილ სახელთა სიის მნიშვნელობა XIII-XVI სს-ის სოციალური ისტორიისათვის, პირველ რიგში, სწორედ ჯგუფის შემადგენლობაში ვლინდება და ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ის შემოსაზღვრულია გარკვეული ტერიტორიით. მაგრამ რა ჯგუფთან გვაქვს საქმე, რომელსაც წყარო უწოდებს ერთობილ კრებულს? რადგან თვითონ მატთანე არავითარ პირდაპირ მინიშნებას არ იძლევა მისი წარმოშობის შესახებ, საჭიროდ ჩავთვალებთ მისი შემოფარგვლა. რა იყო მიზეზი ჩანაწერების გაკეთებისათვის, ანუ ერთი ხელით გადაწერისათვის და გარკვეულ ტერიტორიულ ჩარჩოში მოქცევისათვის? რა იდეა ამ მოსახსენებლის შექმნის უკან? რა აკავშირებდათ ამ ჯგუფის წევრებს ერთმანეთთან?

ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად საჭიროდ ჩავთვალებთ სვანეთიდან შემორჩენილი დოკუმენტების გადასინჯვა და ახლებურად გააზრება. რას გვეუბნებიან ამ დროის სვანური საბუთები, რომლებიც, ძირითადად, ლიტურგიკული წიგნების არშიებზე ან ტექსტებისაგან თავისუფალ გვერდებზეა დაწერილი და



განკუთვნება XIII-XV საუკუნეებს. ამ დოკუმენტების გაცნობის შემდეგ ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ეს ორივე სხვადასხვა ტიპის წყარო დროში ერთმანეთს ემთხვეოდა, და არა მარტო დროში, არამედ სივრცეშიც. ორივე მოიცავდა იმ ტერიტორიის ფარგლებს, რომელსაც ეწოდებოდა ერთობილი სვანეთის ხევი. ეს დამთხვევები იმაზე მეტყველებდა, რომ აქ საქმე ეხებოდა შინაარსობრივად დაკავშირებულ მოვლენებს, რომლებიც მსგავსი იმპულსებით იყო გამოწვეული. შეიძლებოდა თუ არა და როგორ შეიძლებოდა ჩვენს ხელთ არსებულ მატანეში დაფიქსირებული ჯგუფი კავშირში ყოფილიყო თავისუფალ ერთობასთან? წინასწარ შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთის თქმა, რომ კვლევის ორივე განშტოება, ასე ვთქვათ, ემთხვეოდა იმ დროის ერთ განსაკუთრებულ ფენომენს და პრობლემას: საქართველოს ბარში მომხდარ პროცესებს – კრიზისს, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა XIII საუკუნიდან (ნომადთა შემოსევები). კრიზისი, რომელიც საქართველოში მძვინვარებდა, ერთიანად ეხებოდა როგორც ბარს, ისე მთასაც. ამ კრიზისულ სიტუაციაში სამეფო ხელისუფლებამ დაკარგა მთის საზოგადოებაზე კონტროლი. მთის მოსახლეობა ყველანაირად ცდილობდა, მოეცილებინა ბარის პოლიტიკური და სოციალური ბატონობა. მთის მოსახლეობაში სახელმწიფოებრივი წესრიგი დაირღვა; გამეფდა აძრავალი უწყესობანი, ადიდი შფოთი და არუელობა. ამ სიტუაციაში სვანეთმა თვითორგანიზაცია მოახერხა. როგორ შეძლო ზემო სვანეთმა არსებულ კრიზისულ სიტუაციაში თავის დაცვა?

თავი მეოთხე – იყო თუ არა ნაფიცი თანამომხეობა სვანეთში? გადამწყვეტ მინიშნებას ამ საკითხის შესახებ გვაძლევს XIII-XV საუკუნეების სვანური საბუთები. დოკუმენტები წარმოადგენს პირობის წიგნებს, რომლებიც იქმნებოდა გარკვეული სიტუაციიდან გამომდინარე მოლაპარაკებებისა და გადაწყვეტილებების შედეგად. ერთობილი სვანეთის ხევი, როგორც იწოდება ეს გავრთიანება დოკუმენტებში, სხვა სიტყვებით განიმარტება როგორც ლალვერსა და უშგულს შორის ტერიტორიაზე არსებული ხეების ერთობის კავშირი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა მესტიაში, რათა მიედწიათ მშვიდობისათვის ხევესა და მოსახლეობას შორის კონფლიქტების მოწესრიგების გზით. ტერმინი ერთობილი, რომელიც წყაროებში გამოიყენება არსებული კავშირის აღსანიშნავად, ნაწარმოებია ერთობიდან და ნიშნავს საერთოს, ერთსულოვანს, ერთიანს, თანასწორს, რაც შეესაბამება გერმანულ სიტყვას »Gemeinde« (Kommuna). შინაარსი, რომელიც დევს ამ პოლიტიკური კავშირის აღმნიშვნელ ტერმინში – ერთობილი შეესაბამება იმ გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებს, რომლებიც ამ კავშირის მიერ არის მიღებული და დაფიქსირებული. ყოველი პირი, რომელიც წვერიანდებოდა ამ კავშირში, მოვალე იყო თავისი კარგი და ცუდი, სამტრო და სამოყვრო საქმე, საერთო გაეხადა თავის თანაწვერებთან. ასევე ის ხევი, რომელიც შედიოდა ამ კავშირში, უნდა დაქვემდებარებოდა საერთო კანონებს ისევე, როგორც ეს მოეთხოვებოდათ უგაერთებულსა და ტანით მშებს. აყოველთა სვანეთის ხევის კავშირში გატარებული იყო იდეა, ეკეთებინათ საერთო, საძმო საქმე. მათ ერთმანეთთან უნდა ჰქონოდათ აძმური ურთიერთობა, რომელიც ემყარებოდა გარკვეულ პირობებზე ურთიერთშორის მოლაპარაკებას, ხელშეკრულების დადებასა და თანასწორობის

ილვას. ხეობაში გაერთიანებული ხევეები და მათში შემავალი წვერები საჭიროებდა შემთხვევაში ერთმანეთს უნდა დახმარებოდნენ. ასევე იყო ცალკეულ ხეობებში. იმ შემთხვევაში, თუ ხევის ერთობაში შემავალ წვერს საშიშროება ემუქრებოდა, მას მთელი ხევი ედგა გვერდით, რათა მშვიდობიანად მოეგვარებინათ არსებული პრობლემები და დაემყარებინათ შინაგანი წესრიგი და მშვიდობა (მოყვრობა) თავიანთ ტერიტორიაზე. ხელშეკრულებები და დადგენილებები, რომლებსაც ისინი იღებდნენ, დროით არ იყო შეზღუდული, კანონით მათ მუდმივად უნდა ეარსებათ. მშვიდობა და წესრიგი სვანეთის ამ ტერიტორიაზე ფიცით იყო დამყარებული. »ერთობილმან ხეუმან, ფიცით შემოვფიცეთ ერთმანეთსა«, ჩაწერილია ერთობის შექმნის მაუწყებელ გადაწყვეტილებათა ბოლოს, რითაც კავშირის მიერ შექმნილი კანონები გარანტირებული ვახდა ფიცით. ამ ფიცის წინაშე ყოველი პიროვნება თანასწორი იყო, სულერთია, რომელ სოციალურ ფენასაც არ უნდა მიკუთვნებოდა ის. »რაიცა საქმე საფიცრად გარდახდეს, თქვენი ფიცი, გინა ვარგი კაცი იყოს, ყველასა ეკადრებოდეს«, ასე გადმოგვცემს სეტის ხევის ერთ-ერთი დოკუმენტი. ამ გაერთიანების წვერები იყვნენ ვარგები (ახნაურები) და გლეხები, უფროსი და უმცროსი, უზედაესი და უქვედაესი – ყოველნიც. ყოველთა ერთობა ზემო სვანეთის ტერიტორიაზე, რომელიც XIII-XV საუკუნეებით განისაზღვრება, გამოხატულებაა იმ ზომებისა, რომელიც სვანეთში მიიღეს საქართველოს კრიზისის ხანაში. ხელშეკრულებით (დაუწერეთ და დაუღვეით) იქმნება კავშირი ლაღვერსა და უშგულს შორის მშვიდობისათვის, რომელიც ფიცით აერთიანებს და ავალდებულებს მასში შესულ ყოველთას. ურთიერთშორის დადებული ფიცის მეშვეობით წარმოშობილი ტერიტორიული ერთობა ქმნიდა სვანეთის ხევის ერთობების კავშირს სახელწოდებით ერთობილი სვანეთის ხევი.

ეს ტერიტორიული ერთობა ყველა თავისი ნიშნით წააგავს კავშირს, რომელიც ევროპულ მეცნიერებაში თავისუფალი ერთობების სახელით არის ცნობილი. თავისუფალი კავშირების შემთხვევაში საქმე ეხება ნაფიცი თანამომხეობის ფენომენს (*Conjuratio*), რომლის დეფინირება სამი ძირითადი მომენტით ხდება: (1) პირველ რიგში ეს კავშირები იქმნებიან შეთანხმებით, ინდივიდუალურა შორის მოლაპარაკების გზით, რომელიც კონსენსს ემყარება. ისინი არიან მოლაპარაკებაზე დაფუძნებული გაერთიანებები; (2) ეს მოლაპარაკება რეპრეზენტირდება პრომისორული (მოლაპარაკებითი) ფიცით. ამ ერთობებს ქმნის ურთიერთშორის დადებული ფიცი და ამიტომ იწოდებიან ნაფიცი ერთობებად. ეს ფიცი მოლაპარაკებაში მონაწილე ინდივიდუუმებს შორის წარმოშობს თანასწორობას პარიტეტის აზრით და ამით კონსტიტუირდება თანამომხეობა; (3) ნაფიცი ერთობების მიზანი იყო ურთიერთდახმარება ყველა სფეროში, დაწყებული მეურნეობიდან და პროფესიული საქმიანობიდან, დამთავრებული რელიგიით.

ტერიტორიული შემოსაზღვრულობის გამო ჩვენს მიერ გამოვლენილ ნაფიცი თანამომხეობას სასოფლო კომუნის სახე აქვს.

თავი მეხუთე – სვანური მატრიანის მონაცემები: მოსახსენებელში ჩანაწერების წარმოშობის პრობლემა, მიზეზი და დრო. არც სვანური საბუთები და არც მატრიანის ტექსტი არ გვაწვდის ცნობებს, რომ მათ შორის რაიმე კავშირი იყო.

ძნელია უპასუხო კითხვას, როგორ იქმნებოდა სვანური მატთანე და როგორ მიიღო მან არსებული სახე. როგორც მატთანის დასკვნითი ნაწილიდან ვეხვდებით (H2401 კეფი IIIv და IIv), არსებობდა ახალი და ძველი მატთანე. ახალი მატთანე გადაწერილია დემეტრე ლოლელიანის მიერ. ამ მატთანის განახლების შემკვეთები კი არიან მოძღვარი ხეშდინიანი და იოვანე დალიდიანი. განახლებული მატთანის გადმოწერა მოხდა ძველი მატანიდან, რომელიც თავის დროზე გადაწერილი იყო ი(ოვ)ანე ხარიტონიანის მიერ. განახლება კი მოხდა იმის გამო, რომ მატთანე სიძველის გამო აღარ იკითხებოდა. ფაქტია, რომ ძველი მატთანე ერთი ხელით იყო ჩაწერილი. თუ როდის მოხდა ჩაწერა, ამის შესახებ მატთანე დუმს. ისიც ფაქტია, რომ ძველი მატთანე გარკვეული კონცეფციით იყო შექმნილი. ამ კონცეფციით, რომელიც კარგად გამოიხატება ტექსტის სათაურსა, დასკვნასა და აგებულებაში, ერთად არიან ჩაწერილი ქალები, კაცები, საერო და სასულიერო პირები. აქ ჩაწერილი პიროვნებები ერთმანეთისაგან გამიჯნულები არიან ტერიტორიული ნიშნის – ხეების მიხედვით. მატთანეში ჩაწერილები, რომლებიც გამიჯნულები არიან ხეების მიხედვით, სულაც არ არიან გათიშულები გარდაცვლილებად და ცოცხლებად, რაც მოსალოდნელია ასეთი ჩანაწერების დროს. მართალია, ტექსტიდან ჩანს, რომ ჩანაწერები ცოცხლებისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ფაქტია, რომ მისი გადაწერის დროს აქ ჩაწერილი პიროვნები ცოცხლები აღარ არიან. მიუხედავად ამისა, მათი ცოცხლებისაგან გამოყოფა მაინც არ ხდება. ეს კი იმას უნდა მიანიშნებდეს, რომ მატთანის შედგენისას მთავარი იყო ტერიტორიული წესრიგის დაცვა. ასეთივე კონცეფციაა შენარჩუნებული მატთანის განახლებისას. ეს კონცეფცია რომ უმთავრესი იყო, ამაზე უნდა მიუთითებდეს ისიც, რომ H2401 ნუსხის IVv კეფაზე რამოდენიმე ხევის მხოლოდ სახელია აღნიშნული და არ არიან ჩამოთვლილი პიროვნებები. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ როდესაც საქმე გვაქვს ღვთისმსახურებისა და წირვალოცვის დროს გამოსაყენებელ მოსახსენებელთან, წესით და რიგით გარდაცვლილთა და ცოცხალთა ცალ-ცალკე გამოყოფა ძირითადად დაცულია, რადგან ორივე ამ ჯგუფისათვის ღვთისმსახურების დროსაც და წირვისასაც გამოიყენება სხვადასხვა ვედრების ფორმულები, და აგრეთვე იმიტომ, რომ ცოცხალთა და გარდაცვლილთა მოხსენიება ხდება ლიტურგიის სხვადასხვა მონაკვეთში. ამგვარი ჩაწერა მოსახსენებელში მიანიშნებს მნიშვნელოვან გარდატეხაზე სვანეთის სსონითი ჩანაწერების პრაქტიკაში: აქ დაფიქსირებული ჯგუფი ისე არის ჩაწერილი, როგორც აცნობიერება მას ეკლესია-მონასტერი.

ჩვენ არ შეგვიძლია მატთანის ზუსტი დათარიღება. თუ ჩვენს მიერ ჩატარებული პირთა იდენტიფიცირებით ვიმსჯელებთ, ძველი მატთანე XIII საუკუნის მეორე ნახევარში უკვე უნდა არსებულიყო. ჩვენი კვლევისათვის საინტერესო ის არის, რომ სვანური მატთანის შევსების პროცესს თავისი უმაღლესი მწვერვალისათვის ერთობლივი სვანეთის ხევის არსებობის დროს უნდა მიეღწია. XIV-XV საუკუნეებში ის თანდათან ივსებოდა ჩანაწერებით და მისი გადაწერა უნდა მომხდარიყო XVI საუკუნის ბოლოს.

თავი მეექვსე – სვანური მატთანის სტრუქტურა, ჩანაწერების წარმოშობა და

მისი კავშირი ერთობილი სვანეთის ხევთან. იყვნენ თუ არა ამ მატთან ერთად ჩაწერილი პიროვნებები ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში? ამის გარკვევა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ დავახასიათოთ მოსახსენებელში შეტანილ პიროვნებათა ჯგუფები და ამასთან გავამყაროთ ჩვენი მოსაზრება მატთან ჩაწერილი ჯგუფისა და სვანეთში ჩვენს მიერ დაფიქსირებულ ნაფიც ერთობას შორის კავშირის შესახებ. ამ მოსახსენებლის მნიშვნელობა სოციალური ისტორიისათვის პირველ რიგში გამოიხატება იმაში, რომ მასში სახელები მოწესრიგებულია ხევების მიხედვით, და აგრეთვე იმაში, რომ აქ დასახლებულები არიან არაერთგვაროვანი სოციალური ფენის წარმომადგენლები. მატთან ყოველთა სვანეთისა კრებისაის ჩანაწერები მოიცავს ქალებსა და მამაკაცებს; ძალიან ზშირად დასახლებულია ცოლ-ქმარი; ამას გარდა, გვხვდება და-ძმთა დასახლება; აგრეთვე ერთი წევრის დასახლება, რომელიც ერთი შობლის – მამის ან დედის ან შვილის; განსაკვიფრებლად დიდი რაოდენობა დასახლებული მარტოხელა ქალებისა, რომლებიც ალბათ გაუთხოვრები იყვნენ (ან ქვრივები?); მატთან ვხვდებით ოჯახის წარმომადგენლებს, რომლებიც ერთმანეთის გვერდით დგანან, მაგრამ ეს არის მხოლოდ შეზღუდული წრე ოჯახისა, რომელიც არ სცილდება ცოლ-ქმარს და უკიდურეს შემთხვევაში შვილს, და უფრო უკიდურეს შემთხვევაში – და-ძმას. ფაქტობრივად ამ მატთან არ შეგვიძლია მოვებნოთ ჩაწერილ პიროვნებათა ჯგუფი, რომელიც შეზღუდულია ნათესავთა განსაზღვრული წრით. აქ ერთმანეთის გვერდით ჩაწერილია სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები, რომლებიც ერთმანეთთან არანაირ ნათესაურ კავშირში არ იმყოფებიან, მათი მკავეშირებული გამოღის მხოლოდ იმ ხვეის სოფლის კრება, რომლის ქვეშაც მსა თუ ის გვარია დასახლებული. ერთმანეთის გვერდით ჩაწერილია სახელები და გვარები, რომელთა ტიპიზაცია ძალზე რთულია. აქ ერთმანეთის გვერდით ჩაწერილია სახელები, რომლებიც სხვადასხვა ნათესაურ ჯგუფს თუ ოჯახს ეკუთვნიან. ფაქტია, რომ ამ პიროვნებებს, რომლებიც აქ იყვნენ ჩაწერილები, ნათესაობა არ აკავშირებდათ, ე. ი. ამ მონაცემების უკან სხვა კავშირებთან უნდა გვქონდეს საქმე. აქ ჩაწერილი ქალები, კაცები, სასულიერო თუ საერო პირები, ყოველნიც, სხვადასხვა ხვეის წევრები ყოველთა სვანეთის კრებით არიან გაერთიანებულები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვით მატთან გვაუწყებს, რომ ის შეიქმნა ყოველთა სვანეთისა კრების საფუძველზე. ეს არის ტერმინი, რომლითაც მწერალმა, რომელიც სასულიერო პირია, აღნიშნა სვანეთის სხვადასხვა ხვეის ერთობებში ჩატარებული რელიგიური აკრებების გაერთიანება. ამ მატთან სახელთა ჩანაწერები, როგორც უკვე ვთქვით, ზემო სვანეთის გეოგრაფიული ერთეულების – ხევების მიხედვით არის შედგენილი და გაერთიანებული. ეს ხევები მატთან წარმოდგენილია გარკვეული თანმიმდევრობით – ენგურის ხეობის აყოლებით ლალვერიდან, რომელიც სვანეთის ხეობის უკიდურესი სამხრეთი პუნქტია, უშგულისაკენ. სულ აქ დასახლებულია ზემო სვანეთის ენგურის ხეობის 13 გეოგრაფიულ-ადმინისტრაციულ ერთეულში – ხევში შემავალი 23 სოფელი. ყოველი ახალი სოფლის დასახლებისას წამძვარებულია სათაური: ავინცა ... (დასახლებულია

სოფელი) ამ კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, ყოველთა შეუნდონ ღმერთმანი, თითოეულ ხვეში ჩატარებულ იქნა ერთი ან რამოდენიმე კრება. ყოველ ხვეში შეკრება დაახლოებით იგივე ცერემონიალით უნდა ჩატარებულყო, როგორც ეს ფიცის დადების დროს ხდებოდა. ამ ცერემონიალს ეკუთვნოდა დასახელებული ტერიტორიების ეკლესიებში სტუმრების მისვლა (მოგება) და შეწირულობების გაღება, რაც ღვთისმსახურებასთან და ერთობლივ პურობასთან იყო დაკავშირებული. ხვეის ასეთ რელიგიურ შეკრებებს თავისი *მასპინძლებიც* უნდა ჰყოლოდა საერო პირებიდან. სწორედ მათი მოვალეობა იყო *კრებულის შეყრა ანუ კრება*. მასპინძელი იწვევდა კრებას, სადაც თავს იყრიდნენ სასულიერო პირები და ეკლესიაში მოსულები. აქ წარმოებდა მოლაპარაკება საერო და სასულიერო პირებს შორის და ასევე გადაწყვეტილებების მიღება. კრების ცერემონიას მიეკუთვნებოდა აგრეთვე მოლაპარაკება მომავალი ლოცვითი დახმარებისათვის, რომელსაც მატერიალური შეწირულობის მაგივრად აძლევდნენ საეკლესიო პირები შემწირველებს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ მატთანეში შეტანილია უამრავი სახელი და ყველა შემთხვევაში აღნიშნულია, რომ სახელთა შეტანა მოხდა კრებაზე. მატთანეში ვხვდებით კრების მოწვევის მეორე სახესაც – როცა ხდება კრების ინდივიდუალური მოწვევა. ამ შემთხვევაში მატთანეში განსაკუთრებულად გამოიყოფა ის პიროვნება, რომელმაც ერთობილი კრებული შეჰყარა, რაც ნიშნავს გაერთიანებული ხვეების ერთობიდან ხუცესების მოწვევას. ამის მამტიკიცებელ საბუთებს ვხვდებით სვანეთის ე. წ. მეორე მატთანეში –საოჯახო-საგვარეულო მოსახსენებლებში, სადაც ნათქვამია: *კრებაი ქნეს, შეგუყარეს სამოცდაათი ხუცეცი; ახვანეთს ხუცეცი შეგყარა – ზემო უუშკულს, ქუემო ლალვერს ყოველი აწეის; აესე კრება შეგუყარა სულისა მისისათვის, ესე [...] ერთობილი ზემოი და ქუემოი ხეუ-კრებული. კრებების მოწვევა დაკავშირებული იყო ერთობლივ პურის ჭამასთან და ღვთისმსახურებასთან. შემწირველი იძლეოდა შეწირულობებს და სამაგიეროდ მას შეიტანდნენ მოსახსენებელში: ერთობილი კრებული შეგუყარა... სულსა მისსა შეუნდოს ღმერთმანი. კრების მოწვევა და ხუცესების გამასპინძლება ყველაზე დიდ შეწირულობად ითვლებოდა. ხუცესები იყვნენ ის პირები, რომლებსაც შემწირველი ლოცვის დროს უნდა მოეხსენიებინათ. შეწირულობებს აკეთებდნენ არა მხოლოდ ცალკეული პირები, არამედ მთელი ხვეიც. ამაზე მეტყველებს სვანეთის ეკლესიებზე XI-XIII საუკუნეებში გაკეთებული წარწერები, რომელთა მამენებლად ხშირად მთელი ხვეი გვევლინება და ამის სანაცლოდ ლოცვაში მოხსენიებას თხოულობს. სვანეთის ეკლესიებზე არსებული წარწერები, გარდა იმისა, რომ საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ რა ურთიერთგაღებულებები არსებობდა შემწირველ ხვესა და შეწირულობის მიმღებ სასულიერო პირებს შორის, ასევე ცნობებს გვაწვდის იმის შესახებ, რომ უკვე XI-XIII საუკუნეებში სვანეთის ტერიტორიაზე არსებობდა ცალკეულ ხვეთა ერთობები, რომლებიც შემდეგ გაერთიანდნენ და ეწოდათ ერთობილი სანი. საფიქრებელია, რომ ცალკეულ ხვეთა ერთობებს (კომუნებს), რომელთა არსებობის შესახებ ცნობები ეკლესიის კედლებმა შემოგვინახეს, გაანდათ თავიანთი საკუთარი მოსახსენებლები. ამაზე მეტყველებს ჩვენს ხელთ არსებული მატთანის აგებულებაც. მწერალი, რომელიც თავდაპირველად*

ადგენს მატიანეს, მასში აფიქსირებს ცალკეული ხევის კრებებს, თუმცა აღნიშნავს, რომ ეს არის ყოველთა სვანეთის კრება. მწერალს ეს შეეძლო აღენიშნა მხოლოდ მაშინ, როცა უკვე ფაქტი იყო ერთობილი სანის(არსებობა ანუ მომზადარი იყო სვანთა გაერთიანება. როგორც ჩანს, მწერლის ხელში იყო ამ ცალკეულ ხევთა ერთობების მოსახსენებლები, რომლებიც გააერთიანა. მართალია, მატიანის შემდგენელმა მწერალმა დააფიქსირა ცალკეულ კრებათა ჩატარების ადგილები, მაგრამ მან ისე მოახდინა აქ დაფიქსირებული ჯგუფის ჩაწერა, როგორც აცნობიერებდა მას და უწოდა ყოველთა სვანეთისა კრება, რომელიც თავისი ტერიტორიული შემოსაზღვრულობით შეესაბამება XIII-XV საუკუნეებში ზემო სვანეთში არსებული კავშირის – ერთობილი სვანეთის ხევის – ტერიტორიულ საზღვრებს. ფაქტია, რომ ერთობილი სვანეთის ხევი კავშირში იყო ამ მატიანის შექმნასთან. ჩვენი მოსაზრების გასამყარებლად აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ როგორც ცალკეულ ხევთა ერთობების, ასევე ერთობილი სვანეთის(დოკუმენტები საეკლესიო წიგნებშია ჩაწერილი. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ რელიგიური შეკრებების დროს ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება, ე. ი. ყველა ეს დოკუმენტი სვანეთის ეკლესიებში იქმნებოდა და მასში ლაპარაკია იმათზე, ვინც ეკლესიებში იკრიბებოდა და ქმნიდა ამ ერთობას, სულერთია, იყო ეს საერო თუ სასულიერო პირი, აზნაური თუ გლეხი, უფროსი თუ უმცროსი, ყოველნიც, როგორც ამას წყარო გადმოგვცემს.

როგორც უკვე მივუთითეთ, ერთობილი სვანეთის ხევის(დოკუმენტები ჩაწერილია მესტიის ოთხთავის თავისუფალ გვერდებზე, რადგან გაერთიანება მოხდა სეტიაში. დოკუმენტებში დაფიქსირებულია და დასახლებულია მოვალეობები, რომლებზედაც თანხმდებიან ეკლესიის წარმომადგენლები და ისინი, ვინც აქ იყვნენ მოსულები. ამ დოკუმენტებში ლაპარაკია ამ შეხვედრების შესახებ და ამ ერთობის დამფუძნებელ აქტზე. გარდა ამ დოკუმენტებისა, რომლებიც ერთობილი სვანეთის შექმნის შესახებ გვაუწყებენ, ჩანაწერები გვაწვდიან აგრეთვე ცნობებს ცალკეულ ხევებში ჩატარებული კრებების შესახებ. თვით ეს ეკლესიები, სადაც ტარდებოდა კრებები, ჩართული იყვნენ ნაფიც ერთობაში დიდი უზრუნველყოფის შუთავაზებით. ამის მტკიცების საფუძველს ვაძლევს არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირობის წიგნების ჩაწერა ხდებოდა ლიტურგიკულ წიგნებში, არამედ ისიც, რომ ძალიან ხშირად გადაწყვეტილებებს სვანურ დოკუმენტებში საერო პირებთან ერთად ხელს აწერდნენ სასულიერო პირები – ხუცესები და მოძღვრები. ერთობილი იცავდა ეკლესიებისა და სასულიერო პირების ხელშეუხებლობას.

განსაკუთრებული ადგილი ეკავა სეტის მთავარმოწამის ეკლესიას. სეტის ხევის და მისი ეკლესიის ეს პრივილეგია იმით იყო განსაზღვრული, რომ სწორედ მის გარშემო მოხდა ერთობილი სვანეთის ხევის გაერთიანება და ის გახდა ამ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი. ეს ერთობა რეალიზდებოდა, ერთი მხრივ, იმაში, რომ ყოველი ცალკეული ხევი, რომელიც შედიოდა ერთობილი სვანეთის ხევში, სეტის ხევს უხდოდა)სულის საურავს(ამას გარდა, გაერთიანებული სვანეთის ყოველი წევრი მოვალე იყო, მონაწილეობა მიეღო და თავისი წვლილი გაეღო სეტში



წლიური რელიგიური თავშეყრების დროს. განსაკუთრებული დღეები იყო, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, შემოდგომის და ზაფხულის გიორგობის დღესასწაული, ა. ი. იმ წმინდანის დღესასწაული, რომლის სახელობისაც იყო სეტის ეკლესია. აქ თავს იყრინენ ერთობილი ხევის წვერები, იმართებოდა პურობა, ღვთისმსახურება და შეწირულობების მიღება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სხვა დღეებში არ ხდებოდა თავშეყრა. ერთ-ერთმა ხელნაწერმა (XIV ს.) შემოგვიჩანა მასპინძელთა რიგი, სადაც ჩამოთვლილია ის პიროვნებები, რომლებიც ვალდებული იყვნენ გამასპინძლეობდნენ ასეთ პურობებს. ამგვარი თავშეყრები, რასაც თან სდევდა ერთად ჭამა-სმა, რაც დამახასიათებელია ყველა სახის თავისუფალი ერთობისათვის, სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არა თავისუფალ ერთობებში შეძგავილი წვერების მიერ განხორციელებული სოციალური კავშირების მუდმივ განახლებას. რადგან ნაფიცი ერთობების პურობა განასახიერებდა სოციალური კავშირის მუდმივ განახლებას ყველას ერთობლივი სურვილით, ამიტომ ის წარმოადგენდა ნაფიცი ერთობის ოცენტრალურ მანიფესტირებას (და თავის მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ჯგუფთა ხანგრძლივობისათვის. ნაფიც ერთობათა სულიერი ნორმა იყო ქრისტიანული ძმობის იდეა, რომელსაც ისინი ერთობლივი პურობის დროს ყოველთვის ანახლებდნენ. ორიენტაცია ქრისტიანული ძმობის იდეაზე ძალიან ხშირად გამოსჭვავის თავისუფალი ერთობების პირობის წიგნებში. ერთობლივი პურობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ღვთისმსახურებასთან და შეწირულობებთან, ამიტომ ნაფიც ერთობათა პირობის წიგნები უმეტესად ლიტურგიკულ წიგნებშია ჩაწერილი. ეს კი მიანიშნებს იმაზე, რომ ეკლესიები, სადაც რელიგიური ოკრებები ტარდებოდა, ამასთანავე იყო ის ადგილები, სადაც პოლიტიკური და სოციალური შეხედულებების ფორმირება ხდებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, ეკლესიები ჩართულნი იყვნენ ნაფიც ერთობაში დიდი უზრუნველყოფით. სამაგიეროდ კი სვანეთის ხევი ითხოვდა, რომ მათ შუამდგომლის როლი ეკისრათ ღმერთთან. სასულიერო პირების, როგორც ძღვნის მიძღვებთა, უპირატესობა იყო, ლოცვითი დახმარება გაეწიათ იმათთვის, ვინც ძღვენი შესწირა მათ ანუ მატერიალური დახმარება გაიღო მათთვის; უნდა ეზრუნათ მათი სულის კეთილდღეობისათვის სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგ, რადგან სწორედ ისინი იყვნენ შუამავლები სიცოცხლეცა და სიკვდილს შორის, რამეთუ სულითა მარადის წინაშე ღმრთისა მდგომარენი იყვნენ. მათ უნდა ელოცათ შემომწირველთა და შემოვედრებულთათვის ოცნებებსა ამას და შემდგომად სიკვდილისა. ლოცვა იყო სასულიერო პირთა ძღვენი შემოვედრებულთათვის მათი მატერიალური დახმარების სანაცვლოდ, რომელიც დაკავშირებული იყო ლიტურგიკული სახელის ხსენებასთან (იხ.: თავი I). ლიტურგიკული სახელის ხსენების გამოხატულება კი შუა საუკუნეებში იყო მოსახსენებლები, რომლებშიც ჩაწერილი იყვნენ გასახსენებელი პიროვნებები (იხ.: თავი II). ღვთისმსახურების დროს ამ ჩანაწერებიდან ხდებოდა სახელთა წაკითხვა. აქედან აშკარად ჩანს, რომ სვანეთის ერთობილი ხევი, რომელიც მატერიალურად უზრუნველყოფდა ეკლესიას და სასულიერო პირებს, რომლებიც აგრეთვე შედიოდნენ ამ ერთობაში, სამაგიეროდ საჭიროებდა ლოცვით დახმარებას, იმისათვის, რომ მიეღოთ აკურთხევაი საუკუნოი



ღმერთისაგან, ღმერთს უხვად მიენიჭებინა კეთილი ქვეყანისაი დღევრძელობასა შინა და კეთილი ზეცისაი დაუსრულებელი. აქ კი გასაგები უნდა იყოს ჩვენს მიერ ზემოთ განხილული სვანური მატიანის წარმოშობა, რომელიც ემთხვევა ერთობილი სვანეთის შექმნას. ერთობილის წევრს საჭიროების შემთხვევაში არა მხოლოდ მატერიალური დახმარება და დაცვა უნდა ჰქონოდა, არამედ არამატერიალურიც. მისი სული დაზღვეული უნდა ყოფილიყო სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც, მას უნდა მიეღო ლოცვითი დახმარება.

მატიანის ტექსტიდან გარკვევით ჩანს, რომ მატიანეში ხდება ცოცხალი პიროვნებების ჩაწერა. მათ სიცოცხლეში უნდა ეზრუნათ თავიანთი სულის ხსენისათვის. ამისათვის ისინი აკეთებდნენ შეწირულობებს ეკლესიებისათვის, სამაგიეროდ კი ელოდებოდნენ მადლს ქრისტესაგან განკითხვის დღეს. ხსოვნის წიგნში შეტანილ პირებს უკვე სიცოცხლეში უნდა ჰქონოდათ გარანტია იმისა, რომ სიკვდილის შემდეგ არ იქნებოდნენ დავიწყებული და მიიღებდნენ ლოცვით დახმარებას. მატიანეში არ ჩანს, რა სახის შეწირულობების გაღება ხდებოდა სულის საკეთილდღეოდ. ამისთვის ალბათ სპეციალური ჩანაწერები არსებობდა. სამაგიეროდ კარგად ჩანს, რომ ქრისტეს მადლის მიღებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა კრებების მოწვევას. განსაკუთრებით დიდ მადლად კი გარდაცვლილისათვის ზრუნვა ითვლებოდა.

699

რამდენად იყვნენ დაზღვეულები მატიანეში შეტანილი წევრები, რომ მათი გარდაცვალების შემდეგ ისინი მიიღებდნენ დახმარებას ლოცვითა და ხსოვნით? ის ფაქტი, რომ ეს მატიანე განახლებულია, მეტყველებს იმაზე, რომ საქმე ეხებოდა გარდაცვლილთა ხსოვნის დაზღვევას. ამის შესახებ დასკვნით ნაწილში მისი განმარტებული გვაწვდის ცნობას, რომ ძველი მატიანე, რომელიც იოანე ხარიტონიანის დაწერილი იყო, სიძველის გამო აღარ იკითხებოდა და ამიტომ მოხდა მისი განახლება. განახლებისას, რაც გულისხმობდა ძველის აღდგენას და ახალი წევრების დამატებას, ძველი წევრები ცოცხალნი აღარ არიან, თუმცა არ არის რაიმე აღნიშვნით გამოყოფილი მიცვალებულები ცოცხლებისაგან. ტექსტში გვადამწერი იმ ადგილას, სადაც შეუძლებელი იყო ძველი სახელების ამოკითხვა, აკეთებს შემდეგ ჩანაწერს: აქა უფალო არაი აჩნდა მათ ყოველთა შეუნდვენ ღმერთო ყოველი ცოდვანი მათნი დღესა მას დიდსა განკითხვისასა. კრებულის ყოველი წევრი დაზღვეული უნდა ყოფილიყო, რომ სიკვდილის შემდეგაც მიიღებდა ლოცვით დახმარებას თავისი ძღვენის სანაცვლოდ. რადგან მატიანეში ცოცხალ პიროვნებებთან ერთად გარდაცვლილებიც არიან ჩაწერილები, საქმე გვაქვს გარდაცვლილთა ხსოვნის დაზღვევასთან, ე. ი. ამ მოსახსენებელს ჰქონდა მემორიალური ფუნქციაც. ამაზე მეტყველებს არა მხოლოდ გარდაცვლილთა სახელების აქ ჩაწერა, არამედ მატიანის დასკვნითი ნაწილი, სადაც ლაპარაკია ლოცვით დახმარებაზე გარდაცვლილების შემდეგ. მატიანის განმარტებული შესთხოვს კრებულს, რომ მათი ლოცვის დროს ის არ იყოს დავიწყებული, რათა ღმერთმან თქუენცა მადლად მოვაგოს დღესა მას დიდსა განკითხვასასა და, თავის მხრივ, ღმერთს შესთხოვს ძველი მატიანეს მწერლის იოანე ხარიტონიანის შენდობას. ეს იყო ლოცვითი დახმარების მოვალეობა, რომელიც ერთობილი კრებულის

ს ა ქ ა რ თ ი მ ე ლ ო ს
 ა ბ ლ ა მ ი ნ ი ს
 ე რ ო მ ე შ ო ბ
 ბ ი ბ ლ ი ო თ ი ა

ცოცხალ და გარდაცვლილ წევრებს ერთმანეთთან აკავშირებდა. როგორც მრავალი დასავლეთეუროპული მაგალითიდან არის ჩვენთვის ცნობილი, მემორიალ გარდაცვლილთათვის და ცოცხლებისათვის თავისუფალ ერთობებში დიდ როლს თამაშობდა. თავისუფალ ერთობებში ლოცულობდნენ გარდაცვლილი და ცოცხალი წევრებისათვის. მსგავსი ლოცვითი დახმარებები ითვალისწინებდა გასახსენებელი პიროვნებების სახელთა წაქითხვას ღვთისმსახურების დროს. ეთნოლოგიური მასალიდან ჩვენთვის ცნობილია, რა დიდ როლს თამაშობდა სვანურ გაერთიანებებში თავიანთი გარდაცვლილი წევრების გახსენება. მაგალითად, ლაკრანში (ხევის შიგნით გაერთიანებული სოფლების სვანური სახელწოდება) თუ ვინმე გარდაიცვლებოდა, დასაფლავების დღეს ხმით მტირალი მოთქმის დროს ლაკრანში შემავალ გარდაცვლილ ყველა პირს საითთაოდ მოიხსენიებდა და თითოეულ მათგანს, როგორც ლაკრანის დაკარგულ წევრს, ისე დაიტირებდა. ასევე ხდებოდა ლოცვებისას, რომლებიც დღესასწაულზე ლაკრანის საერთო შესაწირავის დროს წარმოითქმებოდა. ეს მაგალითი ამყარებს იმ შეხედულებას, რომ გარდაცვლილი სახელის ხსენებით კვლავ მუნწყოფი ხდებოდა, გასახსენებელი პიროვნება გაიზრებოდა როგორც ერთობის წევრი. იმისათვის, რათა ერთობა არ დაშლილიყო, ამ ერთობის ყოველი წევრის მუნყოფნა გარდაუვალი აუცილებლობა და დაუსწერელი კანონი იყო. »ამიტომ იწვევდა გარდაცვლილთა მემორია სოციალური ჯგუფის ხშირ განახლებას და თვითშემეცნებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: მემორია მნიშვნელოვანი იყო ჯგუფთა ხანგრძლივობისათვის დროში და მათი საკუთარი ისტორიის ცოდნისათვის«. ერთობილის წევრებიც ზრუნავდნენ თავიანთი ისტორიისათვის, რადგან ისინი იხსენებდნენ თავიანთ დიდი ხნის წინ გარდაცვლილ წევრებს. ეს იწვევდა ჩსოვნის პერიოდულ განახლებას.

მემორია შუა საუკუნეების თავისუფალი ერთობებისათვის მთავარი იყო იმიტომ, რომ ის წარმოადგენდა ფართო ურთიერთდახმარების მომენტს – ის იყო ერთობაში შესულ წევრთა არამატერიალური დახმავება.

ჩვენს მიერ აქ წარმოდგენილი ფაქტები, მაგალითები და შედარებები საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ გადმოცემები ნაფიცი თანამომეობის შექმნის თაობაზე, რომლის შესახებაც ცნობებს გვაწვდიან სვანური დოკუმენტები, კონკრეტულად თავის ასახვას პოულობს მოსახსენებელში – მატთანეში იმ ხევთა შეტანით, რომლებიც ქმნიდნენ ამ თანამომეობას ლალვერსა და უშგულს შორის. მატთანის მწერალი გვაუწყებს, რომ: »დაიწერა წმიდაი ესე მატთანე სალოცველად ყოველთა სვანეთისა კრებისა შემოწმირველთა და შემოვადრებულთათვის«. ყოველთა სვანეთისა კრება კი არის »კრება კრებისა« ანუ სვანეთის გარკვეული ტერიტორიის ხეების »ლალვერსა და უშგულს შორის« ჩატარებული რელიგიური კრებების გაერთიანება. მატთანის ეს ცნობა გაერთიანებული კრების შესახებ ეკვივალენტია აქტებში დამოწმებული აერთობილი სვანეთის ხევის« »ხევის ხეობით« გაერთიანებასთან: »დაუწერეთ და დავიდევით ჩუენ, ერთობაღმან ხუუმან ლალვერს შემოღმართ და უშგულს ჩამოღმართ, ერთმანეთისა ნდომითა, მტკიცე და უძაცველი... რას ვინდა ჟამისა შემოსრულობისათვის შეუცვალებელი, მას ჟამსა, ოდეს ხუეი გაყრილი ვიყუენით ჰავად მოგვიხდა და სვანეთისა ყოველი ხევი სეტას

შეიყარებით სვანეთის ყოველი ხვეის შეყრა, რომელიც აქ არის დაფიქსირებული, იგივე ყოველთა სვანეთის კრებაა. ამ ორ სხვადასხვა ტიპის წყაროს ჩანაწერებში წარმოდგენილია მსგავსი პოლიტიკური ინსტიტუტების ორი ასპექტი. ერთი მხრივ, პოლიტიკური ასპექტი – კრება, სადაც საფუძველი ჩაეყარა პოლიტიკურ ერთობას, რომლის წევრები თავისი სულიერი და ფიზიკური კეთილდღეობის გამო ფიცით გაერთიანდნენ და შექმნეს თავიანთი თვითმოსწილობა პირობის წიგნების სახით; და მეორე მხრივ, კრების რელიგიური ასპექტი – ხვეების რელიგიური ერთობა, რაც აისახა ცალკეულ ხვეთა მოსახსენებლების გაერთიანებაში, ეს კი დამფუძნებელი ფაქტორი იყო ამ ფიცითი ერთობისათვის. ისინი, ვინც ფიცის მეშვეობით ქმნიდნენ ამ კავშირს მშვიდობისათვის ხვეში, სვანურ დოკუმენტებში აღნიშნული გახდნენ როგორც ერთობილნი, ხოლო მატთანეში დაფიქსირებული ჯგუფი – როგორც ერთობილნი კრებულნი (ან კრებულნი ანდა)ხუე კრებულნი. ორივე ტერმინი: ერთობილნი და კრებულნი ქართულ წყაროებში გამოიყენება ერთი მნიშვნელობით – ერთად თავმოყრის მომხდარი ფაქტის აღსანიშნავად. ჩვენს შემთხვევაში ორივე ტერმინი იხმარება ერთი და იმავე ფენომენის – გარკვეული მიზნით გაერთიანებული, შეკრებილი პიროვნებების ანუ ჯგუფის აღსანიშნავად. ხვეის ერთობების კავშირი გამოხატულია ტერმინით – ერთობილი, ხოლო ისინი, ვინც ამ კავშირში შედიოდნენ, ტერმინით ერთობილნი ან კრებულნი. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ეს ორი ტერმინი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და გვაძლევს ტერმინს ერთობილი კრებულნი, სიტყვა კრებულნი აქ გამოიყენება ჯგუფის(მნიშვნელობით, რაც შეესაბამება ლათინურ სიტყვას *collecta*, ხოლო ერთობილნი – როგორც მსახლფრეული და ნახმარია ზედსართავი სახელის ფუნქციით, რათა განმარტებული იყოს, თუ რა ჯგუფზეა ლაპარაკი. *ერთობილი კრებულნი*, რომლის წევრები ჩაწერილები იყვნენ მატთანეში, მოიცავდა ქალებს, კაცებს, სასულიერო და საერო პირებს. ეს იყო ყოველთა(ერთობა, რომელიც არ ქმნიდა ნათესაურ კავშირებს. *ერთობილი კრებულნი* შედიან სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები, მაგრამ მათი ერთობის საფუძველი ნათესაობა კი არ არის, არამედ *ყოველთა სვანეთისა კრება*. მატთანეში ჩაწერილები ერთმანეთის გვერდით დგანან არა თავიანთი ნათესაური და სოციალური, არამედ ტერიტორიული ნიშნის მიხედვით.

ზემოთ განხილულის საფუძველზე პასუხი შეიძლება იქნეს გაცემული ჩვენს მიერ დასაწყისში დასმულ პირველ შეკითხვაზე, თუ რა ჯგუფთან გვაქვს საქმე, რომელსაც მატთანის მწერალი უწოდებს ერთობილ კრებულს? და დასაბუთებით შეიძლება ითქვას, რომ მატთანეში დაფიქსირებული სოციალური ჯგუფი (მას მწერალი უწოდებს *ერთობილი კრებულს*), ეს არის ის სოციალური ჯგუფი, რომელიც ქმნიდა სვანეთის ხვეის ერთობების კავშირს სახელწოდებით *ერთობილი სვანეთის ხვეი*, და განმარტებულ იქნეს როგორც ნაფიცი ერთობა ანუ ურთიერთშორის დადებული ფიცის მეშვეობით წარმოსიბილ პიროვნებათა გაერთიანება, რომელიც ერთ გარკვეულ, შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა. ნაფიცი ერთობის ფენომენის ყველა დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით წყაროებში აღნიშნული)ხუე კრებულნი ანუ ნაფიცი ერთობა წარმოდგენილია სასოფლო

კომუნის სახით.

